186
1975 2

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

## № 3

მაისი-ივნისი

1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი–ივნისი 1975 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

37. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შეჯიბრებაში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ

38. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ

39. მაღალხარისხოვანი საკვების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო ბრიგადების, რგოლებისა და მოწინავეებისათვის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების, საპატიო დიპლომებისა და პრიზების დაწესების შესახებ

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

40. კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლის გადასახადის თანხების ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩარიცხვის შესახებ.

41. მშენებლობადამთავრებული სარწყავი და საშრობი სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების დანიშვნის წესის შესახებ
42. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის გადაყვანის შესახებ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ანარიცხების ხარჯზე შენახვაზე
43. „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე.
44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით გათვალისწინებული ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი შემოსატანებისადმი კონტროლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ
45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 იანვრის № 48 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 25 აგვისტოს № 766 დადგენილების დამატების შესახებ
47. ქალაქ რუსთავის ახალი საზღვრების შესახებ
48. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო ინსპექციის შექმნის შესახებ
49. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
51. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობის და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

## 37 საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შეჯიბრებაში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შუამდგომლობა, და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 27 იანვრის № 64 დადგენილების დამატებით დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა ამ სამინისტროს სისტემის საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შეჯიბრებაში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
**თ. მოსაშვილი.**

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 6 მაისი, № 332

41. მშენებლობადამთავრებული სარწყავი და საშრობი სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების დანიშვნის წესის შესახებ
42. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის გადაყვანის შესახებ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ანარიცხების ხარჯზე შენახვაზე
43. „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე.
44. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით გათვალისწინებული ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი შემოსატანებისადმი კონტროლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ
45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 იანვრის № 48 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ
46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 25 აგვისტოს № 766 დადგენილების დამატების შესახებ
47. ქალაქ რუსთავის ახალი საზღვრების შესახებ
48. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო ინსპექციის შექმნის შესახებ
49. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ.
50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
51. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობის და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები

## 37 საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შეჯიბრებაში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შუამდგომლობა, და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 27 იანვრის № 64 დადგენილების დამატებით დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ერთი გარდამავალი წითელი დროშა ამ სამინისტროს სისტემის საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა შეჯიბრებაში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.** |
| საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.** | საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჟ. შარტავა.** |

ქ. თბილისი, 1975 წ. 6 მაისი, № 332

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 38 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების დაწესების შესახებ

„1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 27 იანვრის № 65 დადგენილების დამატებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

დაწესდეს დამატებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები დიპლომებითა და ფულადი პრემიებით საქართველოს სსრ იმ რაიონებისათვის, რომლებიც გაიმარჯვებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში შემდეგი პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის:

ჩაის ფოთლისა — 2;
ყურძნისა — 2;
ხილისა — 2;
მეცხოველეობის
პროდუქტებისა — 2;
ჭარხლისა — 2.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
**თ. მოსაშვილი.**

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 6 მაისი, № 333

## 39 მაღალხარისხოვანი საკვების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოო ბრიგადების, რგოლებისა და მოწინავეებისათვის დამატებითი გარდამავალი წითელი დროშების, საპატიო დიპლომებისა და პრიზების დაწესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საკვების დამზადებაში დადგა ყველაზე პასუხსაგები დღეები, რომლებიც განსაკუთრებულ სიზუსტესა და ორგანიზებულობას მოითხოვენ. პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, მეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები მოწოდებული არიან გააჩაღონ და სათავეში ჩაუდგნენ ქმედითს სოციალისტურ შეჯიბრებას საკვების მაქსიმალური მარაგის შექმნისათვის, უზრუნველყონ კოლექტივების, კომუნისტების, კომკავშირლების, ახალგაზრდობის, მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის დარაზმვა მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებისათვის, მოაგვარონ მექანიზებული ბრიგადებისა და რგოლების შეუფერხებელი მუშაობა, ამასთან ისარგებლონ საკვების დამზადების პროგრესული მეთოდებით. საჭიროა ყოველი ღონისძიებით გამოიყენონ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შრომითი აქტივობის გაძლიერების ყველა არსებული ფორმა და მეთოდი, ოპერატიულად აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, გადაჭრით იბრძოლონ მოსავლის დანაკარგების წინააღმდეგ.

ავიღოთ მინდვრებიდან, მდელოებიდან და სათიბად გამოსადეგი ყველა ნაკვეთიდან მთელი შესაძლებელი მოსავალი — ამ დევიზით უნდა მიმდინარეობდეს სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა საკვებზე მეცხოველეობის მოთხოვნილების უზრუნველყოფას და პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებას 1975-1976 წლებში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო (გაგრის, ტყიბულის, ჭიათურის) და რაიონულ კომიტეტებს შეიმუშაონ და განახორციელონ სასწრაფო და საჭირო ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გასაუმჯობესებლად, რაც უზრუნველყოფს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას მაღალხარისხოვანი საკვების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის, საჯაროობის, შედეგების შესადარობის, მოწინავე გამოცდილების, შრომის საუკეთესო ნიმუშების მორალური და მატერიალური სტიმულირების პრინციპების უკეთ გამოყენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვებში ცილების ნაკლებობის გათვალისწინებით მიაღწიონ იმას, რომ არც ერთი ტონა სილოსი არ ჩაიდოს შარდოვანას დაუმატებლად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ“ გამოუყოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2.000 ტონა შარდოვანა და ორი კვირის ვადაში (სილოსის დამზადების დაწყებამდე) უზრუნველყოს მისი მიტანა მეურნეობებამდე შეთანხმებული განწესების მიხედვით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომბინირებული საკვების მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან ერთად 15 დღის ვადაში უზრუნველყოს რესპუბლიკის ყველა მეურნეობა რეკომენდაციებით სილოსის ჩადებისას შარდოვანას გამოყენების შესახებ და მოაწყოს სპეციალისტთა ზონალური სემინარები შარდოვანას გამოყენების საკითხებზე.

3. აღინიშნოს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის 27 იანვრის № 65 დადგენილებით „1975 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ“ დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები, აქედან: პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების დასაჯილდოებლად — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 5 ათასი მანეთის ოდენობით, კოლმეურნეობებისათვის — 2, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებისათვის — 1 გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემიები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილებით დაწესებული პრემიების სკალის შესაბამისად.

4. დაწესდეს სანაწვერალო კულტურების წარმოებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების დასაჯილდოებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1 გარდამავალი წითელი დროშა.

5. დაწესდეს საკვების წარმოების, დამზადებისა და სანაწვერალო და შორისული კულტურების მოვლა-მოყვანის ორგანიზაციაში დახმარების გაწევისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული მშრომელთა დეპუტატების სადაბო და სასოფლო საბჭოების დასაჯილდოებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 2 გარდამავალი წითელი დროშა.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დამატებით დააწესეს:

ა) 15 საპატიო დიპლომი ფასიანი საჩუქრებითურთ (მოტოციკლები, ტელევიზორები, მაცივრები, მაგნიტოფონები და სხვ.) იმ განყოფილებების, საწარმოო და სატრაქტორო ბრიგადებისა და რგოლების კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიიპოვებენ მაღალხარისხოვანი საკვების დამზადებაში;

ბ) 35 საპატიო დიპლომი ფასიანი საჩუქრებითურთ (ტრანზისტორული მიმღებები, ფოტოაპარატები, საათები და სხვ.) საკვებწარმოების მოწინავეთა წასახალისებლად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიჰყიდოს რიგგარეშე 10 სატვირთო ავტომანქანა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მოიპოვებენ სანაწვერალო კულტურების წარმოებაში.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გამოუყოს 1976 წლის იანვარში აღნიშნული რაოდენობის მანქანები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მეურნეობების ხელმძღვანელთა, განყოფილებების გამგეთა, ბრიგადირთა, მერგოლეურთა და საკვებწარმოების მოწინავეთა ინდივიდუალური წახალისებისათვის დააწესა 150 საპატიო დიპლომი და უფასო ტურისტული საგზურები და დასასვენებელი სახლების საგზურები, მათ შორის 100 ტურისტული საგზური და 50 დასასვენებელი სახლის საგზური.

9. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა 40 სამახსოვრო ვიმპელი საკვებმოპოვების დარგში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული კომკავშირული კოლექტივების დასაჯილდოებლად, აგრეთვე მოიწონა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქციის მიერ საუკეთესო საკვებმომპოვებელი კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების დასაჯილდოებლად დაწესებული სამახსოვრო პრიზები.

10. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს რიგგარეშე მიჰყიდონ საბაზრო ფონდიდან 200 მსუბუქი ავტომობილი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს და საპატიო დიპლომებით დაჯილდოებულებს. ამასთან დაკავშირებით ცეკავშირის გამგეობამ მისცეს შესაბამისი მითითება რაიკოოპკავშირებს.

11. რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გააშუქონ საკვების დამზადების საკითხები, გააანალიზონ ამ დიდმნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კამპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიის ჩატარებაში საუკეთესო ბრიგადებისა და მეურნეობების გამოვლინება.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს ორი კვირის ვადაში გამოსცეს სააგიტაციო პლაკატები საკვებწარმოების თემაზე და რეკომენდაციები მცოხნელი პირუტყვის საკვებში შარდოვანასა და სხვა სინთეზურ აზოტოვან ნივთიერებათა გამოყენების შესახებ.

13. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
**გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს
თავმჯდომარე
**თ. მოსაშვილი.**

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
**ჟ. შარტავა.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 23 ივნისი, № 412

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 40 კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლის გადასახადის თანხების ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩარიცხვის შესახებ

„სანახაობათა გადასახადის გაუქმებისა და კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლის გადასახადის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 4 აპრილის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ჩაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტებში კინოფილმების დემონსტრაციის შემოსავლის გადასახადის თანხები კინოთეატრების, კინოდანადგარებისა და მოძრავი კინოს ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 11 მაისი, № 307

## 41 მშენებლობადამთავრებული სარწყავი და საშრობი სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების დანიშვნის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 თებერვლის № 132 დადგენილება „მშენებლობადამთავრებული სარწყავი და საშრობი სისტემებისა და წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების დანიშვნის წესის შესახებ" დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს.

2. დაწესდეს, რომ მთლიანად მშენებლობადამთავრებულ სარწყავ და საშრობ სისტემებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებს (უნიკალური და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ობიექტების გარდა) საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — მშენებლობებსა და ობიექტებზე, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1 მილიონი მანეთი და მეტი;

ბ) საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო რესპუბლიკის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით — მშენებლობებსა და ობიექტებზე, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1 მილიონამდე მანეთი.

3. იმ შემთხვევებში, როცა სარწყავი სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების შედეგად ამოქმედდება ახალი სარწყავი და დაშრობილი მიწები, მიღება ხორციელდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 29 ნოემბრის № 939 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 19 მაისი, № 324

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# დადგენილება № 132

მოსკოვი, კრემლი

**1975 წლის 18 თებერვალი**

## მშენებლობადამთავრებული სარწყავი და საშრობი სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები კომისიების დანიშვნის წესის შესახებ

მშენებლობადამთავრებული სარწყავი და საშრობი სისტემებისა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების მოწესრიგების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ მთლიანად მშენებლობადამთავრებულ სარწყავ და საშრობ სისტემებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონი მანეთი და მეტი (უნიკალური და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ობიექტების გარდა), საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ:

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები იმ შემთხვევებში, როცა ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით იმ შემთხვევებში, როცა ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა ამ სამინისტროს.

მთლიანად მშენებლობადამთავრებულ სარწყავ და საშრობ სისტემებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 3 მილიონამდე მანეთი, საექსპლუატაციოდ მიიღებენ იმ წესით დანიშნული სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომელსაც განსაზღვრავენ:

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები იმ შემთხვევებში, როცა ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით იმ შემთხვევებში, როცა ობიექტების მშენებლობისათვის კაპიტალური დაბანდებანი გამოეყოფა ამ სამინისტროს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

## 42 საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის გადაყვანის შესახებ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ანარიცხების ხარჯზე შენახვაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაქვემდებარებული გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისადმი ოპერატიული და უშუალო ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, აგრეთვე საწარმოო მაჩვენებლების ამაღლებისა და სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის საქმეში სამინისტროს აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაზრდის მიზნით მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, და 1975 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს აპარატი გადაყვანილ იქნეს მისდამი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ანარიცხების ხარჯზე შენახვაზე.

აღნიშნული გადაყვანა განხორციელდეს 1975 წელს ამ სამინისტროს ცენტრალური აპარატისათვის დამტკიცებული საშტატო რიცხობრიობის ფარგლებში, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების თვითღირებულებიდან ანარიცხების ხარჯზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 22 მაისი, № 341

## 43 „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე

„სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფების ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ქირის და სამამულო ომის ინვალიდებისათვის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის საზღაურის გადახდის შეღავათების მიცემის წესის შესახებ, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) უახლოეს ხანში განიხილოს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე სამამულო ომის ინვალიდთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი და უზრუნველყოს შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება;

ბ) მისცეს რესპუბლიკის აფთიაქებს მითითება იმის შესახებ, რომ უფასოდ აძლიონ სამამულო ომის ინვალიდებს წამლები ექიმის რეცეპტების მიხედვით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს:

ა) განახორციელოს ღონისძიებანი საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით სამამულო ომის ინვალიდთა უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესებისათვის;

ბ) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ერთიანი ფორმის სამამულო ომის ინვალიდთა მოწმობის ბლანკების დამზადება.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილება „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ" დაეგზავნათ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 25 აპრილის № 466 დადგენილებით საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, ხოლო მიმდინარე წლის 15 მაისს შესაბამის სამინისტროებსა და ორგანოებს დაეგზავნათ სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია მოტოეტლების უფასოდ მიღების უფლების მქონე სამამულო ომის ინვალიდებისათვის მოტოეტლების ნაცვლად „ზაპოროჟეცის" მარკის ავტომობილების მიცემის წესის შესახებ.

5. ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული დებულება ძალაში შევიდეს 1975 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 29 მაისი, № 351

№ 8

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 29 მაისის № 351 დადგე-
ნილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ქირის და სამამულო ომის ინვალიდებისათვის სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის საზღაურის გადახდის შეღავათების მიცემის წესის შესახებ

### I. საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის შეღავათები

1. „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილების შესაბამისად საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის შეღავათები ეძლევათ:

სამამულო ომის პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, მათ შორის ინვალიდებს სამამულო ომის პარტიზანთა და შესაბამისი კატეგორიების მუშა-მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამამულო ომის პერიოდში საომარი მოქმედების რაიონში, ფრონტისპირა რკინიგზების უბნებზე, თავდაცვითი ზღუდეების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების მშენებლობაზე მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად, და სსრ კავშირის მთავრობის სპეციალური დადგენილებებისა და განკარგულებების თანახმად საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ სამხედრო მოსამსახურეებთან გათანაბრებულ პირთა რიცხვიდან;

სამამულო ომის ინვალიდებთან გათანაბრებულ პირველი და მეორე ჯგუფის სხვა ინვალიდებს:

იმ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა სხვა პერიოდებში ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად, და სამოქალაქო ომის პარტიზანთა რიცხვიდან;

იმ მოქალაქეთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ გამანადგურებელ ბატალიონებში, ოცეულებსა და ხალხის დაცვის რაზმებში ყოფნის პერიოდში მიღებული ჭრილობის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის პირთა რიცხვიდან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

ოჯახებს, რომლებიც იღებენ პენსიას დაღუპული მარჩენალისათვის სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა ზემოაღნიშნულ პირთა რიცხვიდან.

2. ამ განაყოფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირების და მათთან ერთად მცხოვრები (როგორც მათ კმაყოფაზე მყოფი, ისევე დამოუკიდებელი გამომუშავების მქონე) ოჯახის წევრების მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართობისათვის ისინი იხდიან მუშა-მოსამსახურეთათვის განაკვეთებით გამოანგარიშებული ბინის ქირის 50 პროცენტს, ოჯახის თითოეულ წევრზე საცხოვრებელი ფართობის დადგენილი ნორმის (12 კვადრატული მეტრი) ფარგლებში. ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის (15 კვადრატულ მეტრამდე) ქირას ერთმაგად იხდიან.

ფართობის შეღავათიანი ქირის უფლება ენიჭება იმის მიუხედავად, თუ ვინ არის საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი.

ამ განაყოფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ პირთა ან მათი ოჯახების წევრთა კუთვნილ დამატებით ფართობზე საცხოვრებელი ფართობის ქირის შეღავათი არ ვრცელდება. დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან საერთო საფუძველზე ერთმაგად.

3. ამ განაყოფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირებისა და მათი ოჯახების წევრებისათვის დაწესებული კომუნალური მომსახურების ქირის 50-პროცენტიანი შეღავათი ვრცელდება შემდეგი სახის მომსახურებაზე: გათბობა, წყალსადენით სარგებლობა, მათ შორის ცხელი წყლით მომარაგება, კანალიზაცია, გაზითა და ელექტროენერგიით სარგებლობა.

4. ამ დებულების შესაბამისად კომუნალური მომსახურებით სარგებლობისათვის დაწესებული ქირის შეღავათს აძლევენ სახელმწიფოს ხარჯზე კომუნალური საწარმოები, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — სახლთმმართველობები და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები, რომლებიც უწევენ ამ სახის მომსახურებას.

თუ კომუნალური მომსახურების ქირის გადახდა ხდება სახლთმმართველობის (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის) მეშვეობით, მაშინ სახლთმმართველობა (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორა) ანაღდებს კომუნალურ საწარმოთა ანგარიშებს ამ განაყოფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინვალიდებისა და ოჯახებისათვის მიცემული შეღავათების თანხის გამოქვითვით.

5. ამ დებულების შესაბამისად საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის შეღავათები ვრცელდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში შემავალ ყველა სახლზე.

კომუნალური საწარმოების მიერ მინიჭებული კომუნალური მომსახურების შეღავათები ვრცელდება აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სახლებზე და იმ სახლებზე, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნით პირადი საკუთრების უფლების საფუძველზე.

## II. სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის საზღაურის გადახდის შეღავათები

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილების შესაბამისად ყველა სახის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) და სოფლად საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასოდ მგზავრობის უფლება ვრცელდება ამ დებულების I განაყოფის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ინვალიდებზე, ინვალიდობის ჯგუფისა და მიღებული პენსიის სახეობის (ინვალიდობის გამო, მოხუცებულობის გამო, ნამსახურობისათვის) მიუხედავად.

2. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება ენიჭება ინვალიდს ყოველ ქალაქში, საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

3. სოფლად საერთო სარგებლობის სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტით (საგარეუბნო, შინასარაიონო, საქალაქთაშორისო, შინასაოლქო, საოლქთაშორისო, სარესპუბლიკათაშორისო მარშრუტებზე) უფასოდ მგზავრობის უფლება ეძლევათ ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში ინვალიდის როგორც მუდმივი, ისევე დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

4. რაიონებში, სადაც მგზავრთა გადაყვანისათვის საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ფუნქციებს საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტი ახორციელებს, ინვალიდებს უფლება აქვთ უფასოდ იმგზავრონ ამ ტრანსპორტით იმავე საფუძველზე, როგორც სხვა რაიონებში.

## III. ამ დებულებით გათვალისწინებული შეღავათების მიღების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები

1. ამ დებულებით სამამულო ომის ინვალიდებისა და მათთან გათანაბრებული სხვა ინვალიდებისათვის გათვალისწინებული შეღავათები ეძლევათ სამამულო ომის ინვალიდის მოწმობის წარდგენით, ხოლო მის მიღებამდე — საპენსიო მოწმობის წარდგენით, რომელზეც პენსიის დამნიშნავი ორგანოს მიერ აღნიშნული იქნება სამამულო ომის ინვალიდებისათვის დაწესებული შეღავათების მიღების უფლება, ანდა შესაბამის შემთხვევებში — ადრე გაცემული სამგზავრო მოწმობის წარდგენით.

2. ოჯახებს, რომლებიც იღებენ პენსიას მარჩენალის დაკარგვის გამო (ამ დებულების I განაყოფის 1-ლი პუნქტი), საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის შეღავათები ეძლევათ პენსიის დამნიშნავი ორგანოს ცნობის (ფორმა თან ერთვის) საფუძველზე, აღნიშნული პენსიის მიღების პერიოდისათვის.

# ც ნ ო ბ ა

შტამპი მიეცა ——————————————————————
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

იმის შესახებ, რომ იგი იღებს პენსიას მარჩენალის — დაღუპული ვაჟიშვილის (ქალიშვილის, ქმრის, მამის) დაკარგვის
(საჭიროს ხაზი გაესვას)
გამო, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დაწესებულ საფუძველზე. პენსია დანიშნულია სამუდამოდ ( . . . . წლამდე ვადით)

ეს ცნობა ადასტურებს „სამამულო ომის ინვალიდებისა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დამატებითი შეღავათების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 304 დადგენილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ქირის გადახდის შეღავათების მიღების უფლებას.

ბ. ა. დაწესებულების ხელმძღვანელი ——————————

22958

## 44 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით გათვალისწინებული ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილე საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი შემოსატანებისადმი კონტროლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სამინისტროებმა და უწყებებმა დაავალონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების თანახმად მონაწილეობენ ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში:

ა) დროულად და შეუფერხებლად აწარმოონ მათთვის მიცემული გეგმების თანახმად თანხების ჩარიცხვა საგზაო ორგანიზაციების სპეციალურ ანგარიშზე საანგარიშო წლის ყოველი კვარტალის პირველ ოც დღეში;

ბ) არ დაუშვან ამ მიზნით საკუთარი საბრუნავი სახსრების გამოყენება, არამედ ამ თანხების ჩარიცხვა აწარმოონ დადგენილებით გათვალისწინებული წყაროების ხარჯზე.

2. რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გეგმიანი სამუშაოებისა და სხვა სახელმწიფო დავალებათა დროულად შესრულებისათვის, „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 20 აპრილის № 262 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-18 მუხლის თანახმად, უფლება მიეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და რემონტის სამმართველოს უდავო წესით გადაახდევინოს კუთვნილი თანხები რესპუბლიკური დაქვემდებარების ოთხ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი) განლაგებულ იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც დროულად არ შეიტანენ ამ თანხებს სამმართველოს სპეციალურ ანგარიშზე.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების დადგენილებათა საფუძველზე საწარმოო-საგზაო უბნებმა უდავო წესით გადაახდევინონ ის ფულადი სახსრები, რომელთაც საწარმოები და ორგანიზაციები დროულად არ შეიტანენ საგზაო ორგანიზაციების სპეციალურ ანგარიშებზე ან მის გადახდას გააჭიანურებენ.

4. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა და რემონტის გეგმების დროულად და განუხრელად შესრულებისათვის მიიღონ საჭირო ზომები, რომ:

ა) ყველა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა დროულად და ხარისხიანად შეასრულონ მათთვის მიცემული საგზაო სამუშაოების გეგმები, სისტემატურად განიხილონ აღმასკომების სხდომებზე საგზაო სამუშაოების გეგმების შესრულების მიმდინარეობა და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ საწარმოო-საგზაო უბნებს;

ბ) საგზაო სამუშაოებისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების მიმართ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული ზომები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 5 ივნისი, № 371

## 45 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 იანვრის № 48 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„სკოლა-ინტერნატებში კოლმეურნეთა შვილების შენახვის ქირის ოდენობისა და მისი გადახდევინების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 იანვრის № 48 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მშობლების შემოსავლის გამოანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნეს მამისა და დედის ხელფასი კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში“.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 5 ივნისი, № 374

## 46 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„იმ საბუთების ნუსხის შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 23 აგვისტოს № 766 დადგენილების დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 35-ე პუნქტი:

„35. საბუთებზე, რომლებითაც დადგენილი იქნება გაცემული ფორმის ტანსაცმლის ღირებულება, რაც უნდა იქნეს გადახდევინებული შინაგან საქმეთა ორგანოებიდან რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირთა დათხოვნისას ჩადენილი დანაშაულისათვის მათ მსჯავრდებასთან დაკავშირებით ან მათი წოდების სახელგამტეხი გადაცდენის დაშვებასთან დაკავშირებით, აგრეთვე რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის პირთა დათხოვნისას იმ ვადაზე ადრე, რომლითაც ჩარიცხული არიან ისინი სამსახურში, დისციპლინის დარღვევის დაშვებისათვის ან სამსახურებრივი შეუფერებლობის გამო.

აღნიშნულ საბუთებზე სააღსრულებო წარწერის მისაღებად წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მუშაკის მიერ ფორმის ტანსაცმლის მიღების დამადასტურებელი საბუთი;

ბ) გადამხდევინებლის მიერ დამოწმებული ასლი ბრძანებისა მუშაკის დათხოვნის შესახებ;

გ) ცნობა ფორმის ტანსაცმლის ტარების ვადის დამთავრებამდე დარჩენილი დროის პროპორციულად გამოანგარიშებული თანხის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. **ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1975 წ. 5 ივნისი, № 375

## 47 ქალაქ რუსთავის ახალი საზღვრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ სახმშენისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ წარმოდგენილი რუსთავის საქალაქო საზღვრების პროექტი მის ირგვლივ მდებარე მწვანე ზონის ჩათვლით № 1 და № 2 დანართების თანახმად.

ქ. რუსთავის ტერიტორიის საერთო ფართობი ახალ საზღვრებში დამტკიცდეს 9583 ჰექტარი, მათ შორის მწვანე ზონისა — 3523 ჰექტარი.

2. აეკრძალოს ყველა მიწათმოსარგებლეს ყოველგვარი სახის კაპიტალურ ნაგებობათა მშენებლობა და მრავალწლოვანი კულტურების გაშენება ქალაქის ახალ ფარგლებსა და მის მწვანე ზონაში რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეუთანხმებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაითვალისწინონ 1975-1976 წლების საპროექტო სამუშაოთა გეგმაში შესაბამისი ლიმიტები ქ. რუსთავის მიწათმოწყობის პროექტის შესამუშავებლად.

4. დაწესდეს, რომ ქალაქის ფარგლებსა და მის მწვანე ზონაში მოქცეული საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მიწები, აგრეთვე ტყის სავარგულები რჩება საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო სასოფლო მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების ორგანიზაციების სარგებლობაში და ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწების გამოყოფა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. რუსთავის ახალი საზღვრების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ვ. **ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 28 მაისი, № 377

1975 წლის 28 მაისის № 377
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
დადგენილების დანართი № 1

# პ რ ო ე ქ ტ ი

## ქ. რუსთავის საზღვრებისა, მის ირგვლივ მდებარე მწვანე ზოლის ჩათვლით

ქ. რუსთავის საზღვარი იწყება მის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ყარატაღლიასთან, გარდაბნის გზატკეცილისა და სადგურ გაჩიანისაკენ მიმავალი გზის გადაკვეთის ადგილას, I წერტილში, რომლის კოორდინატებია x = + 1320; y = — 5970.

აქედან სასაზღვრო ხაზი მიჰყვება მტკვრის მარცხენა ნაპირის არსებულ ფერდობს, გარდაბნის გზატკეცილისა და ამიერკავკასიის რკინიგზის კახეთის ხაზის გადაკვეთამდე (წერტილი II, x = + 2780; y = — 3120).

აქედან ხაზი მიემართება აღმოსავლეთისაკენ 3150 მეტრის გაყოლებით სწორხაზოვნად III წერტილამდე, (x = + 4500; y = — 410), სადაც უხვევს სამხრეთ-დასავლეთით IV წერტილისაკენ (x = + 4500; y = + 1050).

IV წერტილში ხაზი უხვევს სამხრეთ-დასავლეთისაკენ 750 მეტრზე V წერტილისაკენ (x = + 3680; y = + 1120), ბრუნდება ისევ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და მიემართება რკინიგზის ხაზის პარალელურად VI წერტილამდე (x = + 3680; y = + 4200), უხვევს 90°-ით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ VII წერტილამდე (x = + 4430; y = + 4200), ბრუნდება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ VIII წერტილამდე (x = + 4430; y = + 5020), უხვევს ისევ სამხრეთ-დასავლეთისაკენ IX წერტილამდე (x = + 3680; y = + 5070).

IX წერტილიდან მიდის რკინიგზის პარალელურად X წერტილამდე (x = + 3680; y = + 7050), სადაც უხვევს და ეშვება გარდაბნის მთავარი არხის გადაკვეთამდე XI წერტილში (x = + 3000; y = + 7050), მიჰყვება აღნიშნული არხის მარჯვენა ნაპირს დასავლეთისაკენ რუსთავ-გარდაბნის გზის გადაკვეთამდე XII წერტილამდე (x = + 680, y = + 5500), უხვევს სამხრეთისაკენ XIII წერტილისაკენ (x = — 1200; y = + 6370), საიდანაც ბრუნდება ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ჰკვეთს მდინარე მტკვარს და მიჰყვება მის მარჯვენა ნაპირს XIV წერტილამდე (x = — 1100; y = + 200), უხვევს და მიემართება თბილისის გზატკეცილისაკენ, ჰკვეთს მას XV წერტილში (x = — 1730; y = — 1020), მიჰყვება მას 150 მეტრის დაცილებით ჩრდილო-დასავლეთისაკენ თბილისის ქუჩის ღერძის გაგრძელების გადაკვეთამდე XVI წერტილში (x = — 1520; y = — 2500), შემდეგ მიჰყვება ამ ღერძს XVII წერტილამდე (x = — 2580; y = — 4520).

აქედან ბრუნდება 90 გრადუსით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და სწორხაზოვნად მიემართება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე XVIII წერტილამდე (x = + 570; y = — 6100), უხვევს მარჯვნივ, მტკვრის გასწვრივ XIX წერტი-

ლისაკენ ($x = +750$; $y = -5710$), საიდანაც ჰკვეთს მტკვარს და უერთდება საწყის I წერტილს.

ქალაქ რუსთავის ტერიტორიის საერთო ფართობი აღწერილ საზღვრებში შეადგენს 6060 ჰექტარს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 28 მაისის № 377
დადგენილების დანართი № 2

## ქალაქ რუსთავის ირგვლივ მდებარე მწვანე ზონის საზღვრის აღწერილობა

ქალაქ რუსთავის ირგვლივ მდებარე მწვანე ზონის სასაზღვრო ხაზი იწყება „ა“ წერტილიდან, რომლის კოორდინატებია x = 270; y = — 6600. „ა“ წერტილიდან რკინიგზის ხაზის მართობულად მის გადაკვეთამდე. „ბ“ წერტილის შემდეგ საზღვარი გაივლის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ კახეთის გზის გადაკვეთამდე „გ“ წერტილში, რომელიც დაშორებულია გარდაბნის გზიდან 1300 მეტრით. „გ“ წერტილიდან კახეთის გზის გაყოლებით x = 6000 ბადის ხაზამდე „დ“ წერტილი.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი — გადის რკინიგზის პარალელურად მისგან 4 კმ დაშორებით „ე“ წერტილამდე, რომლის კოორდინატებია x = 6000; y = 7050 „ე“ წერტილიდან სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით გადაკვეთს რკინიგზას მართობულად და მისგან 150 მეტრის დაშორებით „ზ“ წერტილში შეიცვლის მიმართულებას 90°-ით — გაივლის რკინიგზის პარალელურად ქალაქისაკენ 600 მეტრით, შემდეგ „თ“ წერტილიდან რკინიგზის მართობულად „ი“ წერტილამდე, რომლის კოორდინატები იქნება x = — 1180; y = 6450.

ჩრდილო-დასავლეთით საზღვარი — „თ“ წერტილიდან მიჰყვება ქალაქის ფარგლების ხაზს (მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირს) სამშენებლო ბადის y = + 2000 გადაკვეთამდე „კ“ წერტილში, შემდეგ დასავლეთის მიმართულებით 800 მეტრ მანძილზე „ლ“ წერტილამდე კოორდინატებით x = — 2450; y = + 1470 „ლ“ წერტილიდან სწორი ხაზით „მ“ წერტილამდე კოორდინატებით x = — 2230; y = + 1660. „მ“ წერტილიდან რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დასვენების ზონის საზღვრის კუთხემდე, შემდეგ მიჰყვება დასვენების ზონის სამხრეთის და დასავლეთის საზღვრებს „პ“ წერტილამდე, „პ“ წერტილიდან იმავე მიმართულებით x = — 3530; y = — 4670 „ჟ“ წერტილამდე, რომელიც სწორი ხაზით უერთდება „ა“ საწყის წერტილს.

ქალაქის გარშემო მწვანე ზონის საერთო ფართობი შეადგენს 3523 ჰექტარს. მთლიანად ქალაქისა და მის გარშემო მწვანე ზონის ტერიტორიაა 4583 ჰექტარი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

## 48 საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო ინსპექციის შექმნის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს № 656 დადგენილებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 იანვრის № 61 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეიქმნას საშუალო და სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო ინსპექცია.

სახელმწიფო ინსპექციის სტრუქტურა განისაზღვროს 27 საშტატო ერთეულით, ხელფასის თვიური ფონდი — 3.320 მანეთით, ხოლო წლიური შესანახი ხარჯები — 50,1 ათასი მანეთით, აქედან მივლინების ხარჯები — 2,0 ათასი მანეთი № 1 დანართის თანახმად.

სახელმწიფო ინსპექციის საშტატო ერთეულებისა და შესანახი ხარჯების საკომპენსაციოდ შეუმცირდეთ შესაბამის სამინისტროებს 21 საშტატო ერთეული და ზღვრული ასიგნებანი 19,8 ათასი მანეთი № 2 დანართის თანახმად.

სახელმწიფო ინსპექციას გამოეყოს დამატებით ექვსი საშტატო ერთეული 1.115 მანეთი ხელფასის თვიური ფონდით და ზღვრული ასიგნებანი წლის ბოლომდე 9,3 ათასი მანეთი, აქედან მივლინების ხარჯები — 0,4 ათასი მანეთი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ სათანადო ცვლილებები აღნიშნული სამინისტროს 1975 წლის სახელმწიფო გეგმასა და ბიუჯეტში.

3. დაევალოს სახელმწიფო ინსპექციას საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებისა და კომუნისტური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს რესპუბლიკის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სახელმწიფო ინსპექტირება დამტკიცებული დებულების შესაბამისად, კონტროლი გაუწიოს საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების საქმეში ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესრულებას, სასწავლებლებში სასწავლო-მეთოდური მუშაობის ორგანიზაციასა და დაგეგმვას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებას, სასწავლო-საწარმოო ბაზის გაუმჯობესებას, მისაღები გამოცდების ორგანიზაციასა და ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო ინსპექციის დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 5 ივნისი, № 379

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 5 ივნისის № 379
დადგენილების დანართი № 1

## საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო ინსპექციის სტრუქტურა და საშტატო განრიგი 1975 წლისათვის

### ხელმძღვანელობა

| | |
|---|---|
| 1. ინსპექციის უფროსი | 1 |
| 2. უფროსის მოადგილე | 1 |
| 3. მდივანი-მემანქანე | 1 |
| სულ | 3 |

### ტექნიკური და სავაჭრო სპეციალური სასწავლებლების განყოფილება

| | |
|---|---|
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. ინსპექტორები | 4 |
| სულ | 5 |

### სასოფლო-სამეურნეო სპეციალური სასწავლებლების განყოფილება

| | |
|---|---|
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. ინსპექტორები | 4 |
| სულ | 5 |

### ჯანმრთელობის დაცვის საშუალო სპეციალური სასწავლებლების განყოფილება

| | |
|---|---|
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. ინსპექტორები | 4 |
| სულ | 5 |

### კულტურისა და განათლების საშუალო სპეციალური სასწავლებლების განყოფილება

| | |
|---|---|
| 1. განყოფილების უფროსი | 1 |
| 2. ინსპექტორები | 3 |
| სულ | 4 |

### დანარჩენი პერსონალი

| | |
|---|---|
| 1. უფროსი ბუღალტერი | 1 |
| 2. არქივარიუსი | 1 |
| 3. უფროსი საქმისმწარმოებელი | 1 |
| 4. მემანქანე | 1 |
| 5. დამლაგებელი | 1 |
| სულ | 5 |

ჯამი 27 ერთეული

ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით შეადგენს 3.320 მანეთს, 7 თვეში — 23.240 მანეთს, ხოლო წლიური — 39.840 მანეთს.

სულ ზღვრული ასიგნება წლის ბოლომდე უდრის 29,1 ათას მანეთს, მივლინების ხარჯები — 1,0 ათასი მანეთი, ხოლო წლიურად — 50,1 ათას მანეთს, აქედან მივლინების ხარჯები — 2,0 ათასი მანეთი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 5 ივნისის № 379
დადგენილების დანართი № 2

## სამინისტროების მიხედვით სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯების შემცირების ოდენობა 1975 წლის 1 ივნისიდან

| სამინისტროების დასახელება | რიცხოვნობა | ზღვრულ ასიგნებათა ოდენობა | | აქედან: ხელფასის ფონდი | | აქედან: სამსახურებრივი მივლინება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | წლიურზე გაანგარიშებით | 1975 წლის ბოლომდე | წლიურზე გაანგარიშებით | 1975 წლის ბოლომდე | წლიურზე გაანგარიშებით | 1975 წლის ბოლომდე |
| 1. სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 5 | 8,5 | 4,9 | 6,2 | 3,6 | 0,2 | 0,2 |
| 2. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო | 4 | 7,8 | 4,6 | 7,2 | 4,2 | 0,2 | 0,2 |
| 3. კულტურის სამინისტრო . . . . | 5 | 6,3 | 3,7 | 3,9 | 2,3 | 0,2 | 0,2 |
| 4. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო . . . . | 7 | 11,3 | 6,6 | 9,1 | 5,3 | — | — |
| სულ . . . . . | 21 | 33,9 | 19,8 | 26,4 | 15,4 | 0,6 | 0,6 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 49 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების თანდართული დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1975 წ. 12 ივნისი, № 395

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების შესახებ

### 1. საერთო დებულება

1. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილება შექმნილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად და არის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სტრუქტურული დანაყოფი.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილება თავის საქმიანობაში ემორჩილება საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს.

3. საერთო განყოფილების შემადგენლობაში შედის:

— კანცელარია

— ცენტრალური ბუღალტერია

— მემანქანეთა ბიურო

— სამეურნეო ქვეგანყოფილება

4. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ნიშნავს საერთო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს და გადააყენებს მოვალეობის შესრულებისაგან, რაც შემდგომ უნდა დამტკიცდეს საქალაქო საბჭოს მორიგ სესიაზე.

5. ცენტრალური ბუღალტერიის მთავარ ბუღალტერს ნიშნავს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ხოლო სამეურნეო ქვეგანყოფილების გამგესა და კონტროლის შესრულების ინსპექტორს — აღმასკომის მდივანი საერთო განყოფილების გამგის წარდგენით.

6. საერთო განყოფილების სტრუქტურასა და შტატებს ამტკიცებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

7. საერთო განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებით და განკარგულებებით და ამ დებულებით.

8. საერთო განყოფილებას აქვს მრგვალი ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოხატულებით და განყოფილების სახელწოდების აღნიშვნით.

9. საერთო განყოფილების შესანახი ხარჯები გაიღება ქალაქის ბიუჯეტიდან.

### II. ძირითადი ამოცანები

10. თბილისის საქალაქოსაბჭოს აღმასკომის საერთო განყოფილების ძირითადი ამოცანაა:

ა) საქმისწარმოების ორგანიზაცია აღმასკომის აპარატში და საქმისწარმოების ორგანიზაციის საკითხების მეთოდური ხელმძღვანელობა აღმასკომის სტრუქტურულ დანაყოფებსა და ქალაქ თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებში;

ბ) აღმასკომის აპარატის მუშაკთა უზრუნველყოფა სამსახურებრივი (სამუშაო) ფართობით, ინვენტარით და მმართველობის აპარატის შრომის მექანიზაციის საშუალებებითა და მოწყობილობებით; აპარატის მუშაობის ეფექტიანობისა და ნაყოფიერების ამაღლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

გ) ადმინისტრაციული და სამეურნეო ხარჯებისათვის გამოყოფილი სახსრების ეკონომიისა და რაციონალური ხარჯვის სამუშაოთა წარმოება;

დ) სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა შესრულება მოქმედი წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

ე) საერთო განყოფილების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი სწორად გამოყენების უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება;

ვ) საერთო განყოფილების მუშაკთა მიერ შრომის კანონმდებლობის, უშიშროების ტექნიკის, შრომის შინაგანაწესის დაცვის უზრუნველყოფა.

11. მე-10 პუნქტში აღნიშნული ამოცანების შესრულების მიზნით საერთო განყოფილებას ევალება:

ა) შემოსული და გასაგზავნი კორესპონდენციების ოპერატიული დამუშავების, აღრიცხვის, რეგისტრაციისა და დაგზავნის უზრუნველყოფა, კონტროლი შესრულების ვადებზე, მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების ანალიზი და საცნობარო-საინფორმაციო სამუშაოს შესრულება მექანიზაციისა და ორგტექნიკის გამოყენებით;

ბ) დროებითი არქივის წარმოება და სახელმწიფო არქივში მასალების ჩაბარების ორგანიზაცია, საჭირო საარქივო ცნობების გაცემა დადგენილი წესის საფუძველზე;

დ) თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებების, განკარგულებების, სამსახურებრივი დოკუმენტების ბეჭდვისა და გამრავლების ორგანიზაცია უახლესი ტექნიკის გამოყენებით;

ე) საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განხორციელება, ბალანსებისა და ანგარიშების შედგენა;

ვ) აღმასკომის შენობის კაპიტალური და მიმდინარე შეკეთების გეგმის შედგენა და დამტკიცება, ამ გეგმების განხორციელება და გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენობისა და საერთო განყოფილების ბალანსზე არსებულ მოწყობილობათა ექსპლუატაცია, სატელეფონო კავშირისა და სხვადასხვა დანადგარების მუშაობაზე მეთვალყურეობა და მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა.

აღმასკომის შენობის, დერეფნების, სამუშაო ოთახების, დარბაზების, ეზოს დაგვა-დასუფთავება, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა;

ზ) სამეურნეო ინვენტარით და საკანცელარიო ნივთებით, ბლანკებით და საბეჭდი მოწყობილობებითა და მასალებით მომარაგება;

თ) სამოქალაქო თავდაცვისათვის აპარატის მუშაკთა მზადყოფნის ღონისძიებათა განხორციელება.

## III. უფლებანი და პასუხისმგებლობა

12. საერთო განყოფილების გამგეს უფლება აქვს:

ა) გამოსცეს ბრძანებები საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის, გასცეს სათანადო მინდობილობანი, დადოს ხელშეკრულებები, შეთანხმებები და სხვა იურიდიული აქტები, დაკავშირებული განყოფილებისათვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებასთან;

ბ) დადგენილი წესით დანიშნოს, გადაიყვანოს და გაათავისუფლოს სამუშაოდან განყოფილების მუშაკები, რომლებიც ალმასკომის ნომენკლატურაში არ შედიან, წაახალისოს და დაადოს სასჯელი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

გ) საკითხებზე, რომლებიც ეხება საერთო განყოფილების კომპეტენციას, გასწიოს წარმომადგენლობა განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე საქალაქო საბჭოს ალმასკომის სახელით სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში, მათ შორის სასამართლოში, შრომითი დავის განმხილველ კომისიებში (განყოფილების მუშაკებთან შრომითი დავის განხილვის დროს), სახელმწიფო არბიტრაჟში;

დ) განაგოს ალმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით განყოფილებისათვის გამოყოფილი კრედიტები და სახარჯთაღრიცხვო ასიგნებათა თანხების ხარჯვა.

## 50 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„146. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 20 ივნისი № 41[illegible]

## 51 თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1975 წ. 25 ივნისი, № 423

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1975 წლის 25 ივნისის № 423 დადგე-
ნილებით

# Ა Ე Ბ Უ Ლ Ე Ბ Ა

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲚᲝ-ᲡᲐᲞᲐᲠᲙᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

### 1. საერთო ნაწილი

1. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო შექმნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 ნოემბრის № 685 დადგენილების საფუძველზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1974 წლის 30 ოქტომბრის № 1786 განკარგულებით.

2. თბილისის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო უშუალოდ ექვემდებარება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და მისი ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

3. თბილისის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო არსებობს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისაგან მიღებული ანარიცხების ხარჯზე.

4. თბილისის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ გერბისა და თავის სახელწოდების გამოსახულებით და დადგენილი ნიმუშის შტამპი.

### II. ორგანიზაციის ამოცანები

5. მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ამოცანასა და მოვალეობას შეადგენს:

— ქ. თბილისის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება;

— პასუხისმგებლობა გამწვანების მეურნეობის, ამ დარგის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მწვანე ნარგაობათა დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფისა და შემდგომი განვითარებისათვის;

— ქ. თბილისის ტერიტორიაზე გამწვანების ყველა სახეობის სამუშაოების წარმოება; მწვანე ნარგაობათა არსებული ფართობების ექსპლუატაცია (მოვლა-პატრონობა), კაპიტალური შეკეთება და ახლის მშენებლობა;

— თავისუფალი და მოუხერხებელი ადგილების გამწვანება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელშეკრულების საფუძველზე ახალი საცხოვრებელი რაიონების, სამრეწველო საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და სხვა ახალმშენებლობების ფართობების გამწვანება;

— სატყეო მეურნეობის წარმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ტყეებისათვის მოქმედი წესებისა და ინსტრუქციის შესაბამისად;

— სანერგე და საორანჟერეო მეურნეობების მშენებლობა, მათი საქმიანობის წარმართვა და განვითარება;

— ხანძრებისა და თვითნებური ჭრებისაგან მწვანე ნარგაობათა დაცვა;

— დეკორაციული და ნაყოფმომცემი ხე-ბუჩქოვან მცენარეთა და ყვავილოვანი პროდუქციის გამოყვანა;

— ქალაქის ტერიტორიაზე მავნებლებისაგან და დაავადებებისაგან მწვანე ნარგაობათა დაცვა;

— ქალაქის ტერიტორიაზე ყველა სახეობის ნარგაობათა შექმნისა და შენარჩუნების კონტროლი;

— სავაჭრო ქსელის ორგანიზაცია და მოსახლეობისათვის დეკორაციული და ყვავილოვანი მცენარეების, ყვავილების, თესლის, ბოლქვებისა და სხვათა მიყიდვა;

— გამწვანების მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვა და რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განვითარება;

—კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების თავისდროული ამოქმედება;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, კვალიფიციური კადრებით სამმართველოს სისტემის ორგანიზაციების უზრუნველყოფა;

— სამმართველოს სისტემის ორგანიზაციების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

— ყვავილებისა და ნაყოფების საქალაქო გამოფენების, მოსახლეობაში მეყვავილეობისა და დეკორატიული მებაღეობის განვითარებისა და ქ. თბილისის გამწვანება-კეთილმოწყობის საქმეში საზოგადოების მონაწილეობის ორგანიზაცია;

— სახელმწიფო გეგმის შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა.

6. აღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო:

ა) ახორციელებს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისადმი ადმინისტრაციულ, სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელობას, ამავე დროს კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევს რაიონების გამწვანების კანტორების საქმიანობას;

ბ) ამუშავებს და ახორციელებს პრაქტიკულ ღონისძიებებს მწვანე მშენებლობის სამუშაოთა გასაუმჯობესებლად;

გ) შეიმუშავებს და წარუდგენს დასამტკიცებლად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ, წლიურ და კვარტალურ გეგმებს, ადგენს დაქვემდებარებული ორგანიზაციების გეგმებს და აკონტროლებს მათი ოპერატიული, საინვენტარიზაციო და სტატისტიკური ანგარიშების წარმოების სისწორეს;

დ) ახალ მშენებლობასა და კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე ახორციელებს დამკვეთის უფლებას, მოიჯარე ორგანიზაციებთან აფორმებს ხელშეკრულებებს, აფინანსებს სამუშაოებს, აწესებს ტექნიკურ ზედამხედველობას და დამთავრებულ ობიექტებს გადასცემს საექსპლუატაციოდ;

ე) დადგენილი წესის შესაბამისად განიხილავს და ამტკიცებს ახალი მშენებლობისა და კაპიტალური შეკეთების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს;

ვ) შეიმუშავებს და წარუდგენს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად წინადადებებს სამუშაოთა ღირებულებისა და ობიექტების ექსპლუატაციის კალკულაციების შესახებ, საწვავის ხარჯვის ნორმებს, აწესებს კომუნალური ავტომანქანების ექსპლუატაციის, რემონტის და სათადარიგო ნაწილებისა და მასალების ხარჯვის ნორმატივებს, განსაზღვრავს სამუშაოების წარმოებისა და მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაციისა და რემონტის ტექნიკურ პირობებს, დადგენილი წესის შესაბამისად შეიმუშავებს და ამტკიცებს გამომუშავების ნორმებს, შეფასებებს და აწარმოებს სამუშაოების ტარიფიკაციას;

ზ) შეიმუშავებს და ნერგავს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას, სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას; ატარებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და დადგენილი წესით გამოსცემს აუცილებელ ლიტერატურას;

თ) უზრუნველყოფს ძირითადი საექსპლუატაციო და საშენი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით და მოწყობილობით დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს, ანაწილებს და რეალიზაციას უკეთებს გამოყოფილ ფონდებს;

ი) ახორციელებს ხელმძღვანელობას და კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობისადმი, ატარებს მათ დოკუმენტალურ რევიზიებს, განიხილავს და ამტკიცებს მათ ბალანსებსა და ანგარიშებს, ადგენს ნაკრებ ბალანსსა და ანგარიშს, ადგენს და წარუდგენს დასამტკიცებლად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაგროვების განაწილების პროექტს;

კ) შეარჩევს და ნიშნავს სამმართველოს დაქვემდებარებული საქალაქო მეურნეობების ხელმძღვანელ კადრებს, ხელს უწყობს რაიონული მეურნეობებისათვის ხელმძღვანელი კადრების შერჩევას, ყველა დაქვემდებარებული მეურნეობისათვის აწესებს მუშათა კადრების მომზადების გეგმას, დადგენილი წესის შესაბამისად ამაღლებს მუშაკთა კვალიფიკაციას;

ლ) ამტკიცებს უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის ღონისძიებათა გეგმას, მეთვალყურეობას უწევს მის განხორციელებას.

### III. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა

7. სამმართველოს ხელმძღვანელობას ახორციელებს სამმართველოს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმა-

სკომი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით და ამტკიცებს თბილისის საქალაქო საბჭოს სესია. უფროსის მოადგილეებს, მთავარ ბუღალტერსა და სხვა მუშაკებს, რომლებიც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნომენკლატურაში შედიან, სამმართველოს უფროსის წარდგინებით ამტკიცებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

8. სამმართველოს უფროსი ერთმმართველობის საფუძველზე ახორციელებს თავის საქმიანობას, ხელმძღვანელობს სამმართველოს ყველა ადმინისტრაციულ და ოპერატიულ სამუშაოს, განაგებს სამმართველოს ქონებასა და საშუალებებს, ახორციელებს სამმართველოს საქმიანობის სფეროს ყველა ოპერაციას; თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს და ამოწმებს მათ შესრულებას.

9. სამმართველოს უფროსს უფლება აქვს:

ა) მიიღოს და გასცეს ფულადი გადასახადები;

ბ) აწარმოოს ყველა ფულადი ოპერაცია, მათ შორის საკრედიტო ორგანიზაციებში ანგარიშების გახსნა და დახურვა;

გ) გადაწყვიტოს დავა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის;

დ) იყოს წარმომადგენელი პირადად ან რწმუნებული პირის მეშვეობით ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კოოპერაციულ დაწესებულებაში, საწარმოსა და ორგანიზაციაში, არგეთვე სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებსა და სასამართლოში სამმართველოს მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე;

ე) დადოს ხელშეკრულებები და საქმიანი შეთანხმებები, გასცეს მინდობილობები;

ვ) დაამტკიცოს დაქვემდებარებული ორგანიზაციების დებულებები და წესდებები.

10. ფულად, მატერიალურ-ქონებრივ, ანგარიშსწორებისა და კრედიტის ხასიათის ყველა დოკუმენტს და სხვა დოკუმენტზე, რომლებიც გამოიყენება საბუღალტრო ჩანაწერების საფუძვლად, ხელს აწერენ სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე და მთავარი ბუღალტერი.

### IV. რევიზია და ანგარიშგება

11. სამმართველოს საქმიანობას ამოწმებენ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და სხვა ორგანოები, რომელთაც მინიჭებული აქვთ ამის უფლება.

სამმართველო დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში წარადგენს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ანგარიშებსა და ბალანსებს; ანგარიშებსა და ბალანსებს ხელს აწერენ უფროსი და მთავარი ბუღალტერი, რომლებიც პასუხს აგებენ მათი სწორი შედგენისათვის.

12. ამ დებულების შეცვლა შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

13. ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ დებულებით, სამმართველო მუშაობს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ინდექსი — 76187

# СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 3 за 1975 год.

**გამომცემელი:** საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-75 წ. ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16.
საბეჭდი თაბახი, 2,5. სააღრიცხვო თაბახი 2,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

შეკვეთა № 1017 უე 04878 ტირაჟი 1975

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა